ციფრულ სამყაროში არსებული ინფორმაციის ზეგავლენა პიროვნების არჩევანზე

გიორგი მგელაძე, ვაჟა გულიაშვილი, ლიკა ლომიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნესის სკოლა

ალექსანდრე ასათიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

ციფრული სამყარო თანდათან ხდება ეფექტური, როგორც თითოეული პიროვნებისთვის, ასევე კომპანიებისთვის, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში, მისი დახმარებით მარტივია საზოგადოების ინფორმირება, რეკლამირება, განათლება, გართობა და ა.შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვან როლად კი შეიძლება ჩაითვალოს კომუნიკაცია, უზრუნველყოს მომხმარებელი ინფორმაციით და მისცეს საშუალება იყოს როგორც ინფორმაციის მაძიებელი, ასევე ინფორმაციის გამცემი. ამ ყველაფერს კი ადამიანის ცნობიერების და აზროვნების ჩამოყალიბებაში ძლიერი როლი აქვს.

კვლევის თემას წარმოადგენს „ციფრულ სამყაროში არსებული ინფორმაციის ზეგავლენა პიროვნების არჩევანზე“ კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა სტუდენტები, როგორც მომხმარებლები და ლექტორები, როგორც მომსახურება/პროდუქტი, ხოლო თავად უნივერსიტეტს კი წარმოვადგენთ როგორც კომპანიას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, განვსაზღვროთ თუ რამდენად იყენებს ადამიანი, ციფრულ სამყაროში განთავსებულ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღების დროს, რამდენად დიდ გავლენას ახდენს ციფრული სამყარო პიროვნების არჩევანზე და გამოვკვეთოთ ეხმარება თუ არა ციფრული სამყარო პიროვნებებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ნაშრომის სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ციფრულ სამყაროში კომპანიების ეფექტიანობის ამაღლების თეორიული ხასიათის რეკომენდაციების მომზადება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტუდენტები, არჩევანი, ციფრული სამყარო, ზეგავლენა.

Abstract

Digital world is gradually becoming effective for every individual and for the companies, it plays an important role in the everyone's life. With it's held it's simple to inform the public, make an advertisement, get knowledge, entertain and so on. Under the one of the most important roles could be reviewed the ability of communication, providing information and giving the ability to become the one who gains the information and the one who provides others with it. All this has a strong role in shaping human consciousness and thinking.

The topic of the study is the "Impact of Information in the Digital World" on the subject of the research. The objects of the research were students as consumers and lecturers as a service/ product. The university is presented as a company itself.

The purpose of the thesis is to determine whether the person uses or not the information shown and represented in digital world to make a decision, how big is the influence and is it helping to make a right decision or not.

The novelty of the thesis may consist in the preparation of theoretical recommendations for improving the efficiency of companies in the digital world.

Key Words: Students, Digital World, Choice, Impact.

მადლობა

სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის, ბ-ნ ალექსანდრე ასათიანის როლი აღნიშნულ ნაშრომში წარმოუდგენლად მაღალია, ვინაიდან მისი დახმარებით შესაძლებლობა მოგვეცა წარგვემართა ნაწერი იმ მიმართულებით, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა სათაურთან, განხილული იქნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა, რომელიც მეტ ყურადღებას საჭიროებს და გაგვეკეთებინა ის დასკვნები, რომლებიც საბოლოო ჯამში მოემსახურებოდა კომპანიებისთვის ციფრულ სამყაროში მომსახურების ეფექტურობის გაზრდას. ასევე, აღსანიშნავია ასოცირებული პროფესორის, ნინო პატარაიას როლი, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გაგვიწია საკითხისა და კვლევის უკეთ წარმოჩენისთვის. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, ეკონომიკის დოქტორის, ბ-ნ ალექსანდრე ერგეშიძის როლი, მისი დახმარებით შესაძლებლობა მოგვეცა სწორი მიმართულებით მოგვეხდინა ჩვენი რაოდენობრივი კვლევის ანალიზი. გვინდა ასევე მადლობა გადავუხადოთ იმ სტუდენტებსა და ლექტორებს, ვინც დაგვთანხმდა, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ეტაპზე საკმაოდ დაგვეხმარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მის ელექტრონულ ბაზებში არსებული სამეცნიერო/ლიტერატურული მასალა.

ყველა ზემოთხსენებული პირობის ერთობლივად არსებობამ საშუალება მოგვცა შესაბამისი ფორმით გვემუშავა და წარმოგვედგინა სამაგისტრო ნაშრომი, რისთვისაც გვსურს მადლობა გადავუხადოთ ზემოთ ხსენებულ პირებს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.